

საქართველოს პრეზიდენტს,  
ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ასლი: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,  
ბატონ დავით ბაქრაძეს

ბატონო პრეზიდენტო,

დღეს, 2011 წლის 29 დეკემბერს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებ - გვერდზე გამოქვეყნდა თქვენს მიერ ხელმოწერილი საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ.“ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კანონების რიგი ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, ხელს უწყობს არაჯანსაღი, არათანაბარი საარჩევნო გარემოს შენარჩუნებას და მის კიდევ უფრო გაუარესებას ქვეყანაში.

წინამდებარე მიმართვის ხელმომწერ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიგვაჩნია, რომ:

ნორმა, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურ პარტიებსა და კანონით გათვალისწინებულ სხვა პირებს კანონის სრული დაცვით უკვე მიღებული შემოწირულობების დაბრუნება ევალებათ, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“ დარღვეულია ასევე, “ნორმატიული აქტების შესახებ” კანონის 24-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, “ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს, ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.” მიღებული კანონი კონსტიტუციის მოთხოვნათა დარღვევით პასუხისმგებლობას ადგენს იმ ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროისთვის სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. ასევე, უკუძალას ანიჭებს ნორმას, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობას წარსულში განხორციელებული ქმედებისთვის. ამასთან, აღნიშნული ცვლილება არღვევს საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ საკუთრების უფლებას. ცვლილება პირდაპირაა მიმართული იმ ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ, რომელთაც ცვლილებების მიღებამდე გარკვეული დროით ადრე შემოწირულობები მიიღეს კანონით ნებადართული წყაროდან - იურიდიული პირებისაგან;

- კონსტიტუციას ეწინააღმდეგება კანონპროექტის ის ნორმები, რომლებიც იურიდიულ პირებს, მათ წარმომადგენლებსა და „სხვა პირებს“ უზღუდავენ უფლებას ამომრჩეველს მოუწოდონ რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის ან მისგან თავის შეკავების თაობაზე. აღნიშნული თავისი არსით ზღუდავს გამოხატვის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებას. მაშინ როდესაც საარჩევნო კანონმდებლობით, წინასაარჩევნო აგიტაცია არ ეკრძალებათ საჯარო მოხელეებსაც კი, როდესაც ისინი უშუალოდ არ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. უფრო მეტიც, ადმინისტრაციულ ორგანოებში - საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (საჯარო რეესტრი, სამოქალაქო რეესტრი, შემოსავლების სამსახური, მომსახურების სააგენტო და სხვა)

დასაქმებულ ადამიანებს არც სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას არ ეკრძალებათ მოქალაქეებისათვის მოწოდება რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის ან მისგან თავის შეკავების თაობაზე. ამ უკანასკნელთა და საჯარო მოხელეთა აღმატებული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, კანონპროექტით შემოთავაზებული შეზღუდვა სრულიად დისპროპორციულია. ამასთან, გაუგებარია, რა მიზანს ემსახურება იურიდიულ პირთა, მათ წარმომადგენელთა ან „სხვა პირთა“ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა. მიგვაჩნია, რომ რომელიმე მუნიციპალიტეტის გამგებელს ღია აგიტაციის გაწევით რიგით ამომრჩეველზე უფრო დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ვიდრე, მაგალითად რომელიმე თეატრის ან საწარმოს თანამშრომელს. შესაბამისად, სახელმწიფო სექტორისთვის დამახასიათებელი მაღალი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, საჯარო მოხელეებისთვის არათუ კერძო სექტორთან იდენტური, არამედ უფრო შემზღუდავი საკანონმდებლო გარემო უნდა იყოს უზრუნველყოფილი. თუმცა, პარლამენტის მიერ მიღებული კანონი სახელმწიფო სექტორის როლის, პასუხისმგებლობის გათვალისწინების, მისთვის ადექვატური აკრძალვებისა და სანქციების დადგენის ნაცვლად, კერძო სექტორისათვის ხდება გამკაცრებული შემზღუდავი ნორმების შემუშავება.

- **პოლიტიკური პარტიებისათვის დადგენილი შეზღუდვები შეეხებათ, ასევე, იურიდიულ პირებს, რომლებიც „პირდაპირ ან არაპირდაპირ“ არიან დაკავშირებული პოლიტიკურ პარტიასთან ან „სხვაგვარად“ იმყოფებიან პოლიტიკური პარტიის კონტროლის ქვეშ, ასევე, ყველა იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირს, რომელნიც რაიმენაირად დაკავშირებულნი არიან ან აქვთ საქმიანი ურთიერთობა გაცხადებული პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების მქონე პირთან.** მოცემული სუბიექტების ჩამონათვალი ძალზე ფართოა. მათზე დაკისრებული შეზღუდვები საფრთხეს უქმნის იურიდიული პირების და მოქალაქეების თავისუფალ საქმიანობას და სახელმწიფოს აძლევს მათი კონტროლის განუზომელ შესაძლებლობას;

- გაუმართლებლად მკაცრია სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>1</sup> მუხლის ახლებული რედაქცია - „ამომრჩევლის მოსყიდვა.“ თუ აღნიშნულ დანაშაულს ჩაიდენს იურიდიული პირი, გათვალისწინებულია მისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. მაგალითად, საქმიანობის უფლება შესაძლოა ჩამოერთვას იმ პოლიტიკური პარტიას, რომელიც ამომრჩეველს მცირე ღირებულების საკვებ პროდუქტს გადასცემს ხმის მიცემის სანაცვლოდ;

- მიუღებელია ამომრჩეველთა პასუხისმგებლობის ასეთი სახით გამკაცრება. როგორც ცნობილია აღნიშნული კანონპროექტით პოლიტიკურ პარტიასთან ერთად, სისხლის სამართლის წესით დაისჯება ის ამომრჩეველი, რომელიც მისგან ფულს, სხვა ქონებას/მომსახურებას მოითხოვს ან მიიღებს. მაგალითად, თუ ამომრჩეველს პარტია დაუფინანსებს გარკვეულ სამედიცინო მომსახურებას, შესაძლოა, ეს ამომრჩეველი დაისაჯოს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით;

პარტიის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვა და მისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ გარკვეული ქონების გადაცემა, რასაკვირველია, მიუღებელი ქმედებაა. თუმცა, ამავდროულად, მისი ჩადენის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იყოს პროპორციული და გონივრული სასჯელები. სწორედ ვენეციის კომისიისა და ეუთოს რეკომენდაციაა, რომ პარტიების ლიკვიდაცია (რასაც უტოლდება საქმიანობის უფლების ჩამორთმევა) გამოყენებული იყოს სასჯელის უკიდურეს ზომად, მხოლოდ სხვა შედარებით მსუბუქი სანქციების (მაგალითად, ჯარიმა) გამოყენების

შემდეგ. ასეთი შეუსაბამო სასჯელების არსებობა ქმნის იმის რისკსაც, რომ ცალკეული პოლიტიკური პარტიების საქმიანობას შეექმნას დაბრკოლებები.













კანონპროექტების რედაქციის სრულყოფისათვის, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო რიგი შენიშვნების დროული გათვალისწინება, რომელზეც წინამდებარე მიმართვაშია საუბარი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მათი განხილვისას საქართველოს პარლამენტმა არაერთხელ უხეშად დაარღვია რეგლამენტით დადგენილი პროცედურები.

გუშინ 28 დეკემბერს, არასამათვრობო ორგანიზაციებმა მოგმართეთ თხოვნით, არ დაგეშვათ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უმნიშვნელოვანესი პრინციპის დარღვევა, გამოგეყენებინათ საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით თქვენთვის მინიჭებული უფლებამოსილება და "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი მოტივირებული შენიშვნებით დაგებრუნებინათ საქართველოს პარლამენტისთვის.

მიგვაჩნია, რომ თქვენს მიერ აღნიშნული კანონპროექტების ხელმოწერით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უმნიშვნელოვანესი პრინციპები და ამოქმედდა არაკონსტიტუციური დებულებები.

29.12.2011

**ხელმომწერები:**

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია 
2. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო 
3. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება 
4. კოალიცია „არჩევანის თავისუფლება“  
5. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ 
6. *ქართული იურიდიული ასოციაცია* 
7. *სამოქალაქო საზოგადოებას და დემოკრატიას განვითარების ხელშეწყობის ცენტრი* 
8. *პოლიტიკური, იურიდიული და სოციალური ცენტრი* 
9. *ავისივადი თბილისი* 
10. *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“* 
11. *დემოკრატიული საქართველო* 

11. Գրական արժեքները որպես գրական արժեքները
12. Գրական արժեքները որպես գրական արժեքներ
13. Գրական արժեքները որպես գրական արժեքներ
14. Գ. Զ. Զ.
15. Գրական արժեքները որպես գրական արժեքներ
16. Գրական արժեքները որպես գրական արժեքներ
17. Գրական արժեքները որպես գրական արժեքներ
18. Գրական արժեքները որպես գրական արժեքներ
19. Գրական արժեքները որպես գրական արժեքներ

*[Handwritten signature]*